პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 39-ე წელი № 160 (10857) | სამშაბათი, 9 ივლისი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა

მთელი ჩვენი სახელოვანი პარტია, ძლევამოსილი საბჭოთა ხალხი სასტიკად გმობს მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის ანტიპარტიული ჯგუფის მოქმედებას, რომელიც ამხილა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა.

ამ დღეებში მთელს ჩვენს ქვეყანაში, ქალაქებსა და რაიონებში, სამრეწველო საწარმოებსა და კოლმეურნეობებში, მშენებლობებზე და საბჭოთა მეურნეობებში მიმდინარეობს პარტიული აქტივისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებები, პარტიული კომიტეტების პლენუმები, მშრომელთა მასობრივი მიტინგები, რომლებზეც განიხილავენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებას „გ. მ. მალენკოვის, ლ. მ. კაგანოვიჩის, ვ. მ. მოლოტოვის ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ". კრებებსა და მიტინგებზე გამოსულთა სიტყვებიდან ნათლად ჩანს, რომ მთელი ჩვენი პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი მხურვალედ იწონებენ და ერთსულოვნად უჭერენ მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის ანტიპარტიული ჯგუფის ფრაქციული საქმიანობის ამომწურავ დახასიათებას იძლევა. პარტიის ლენინური გენერალური ხაზის შეცვლის მიზნით ეს ჯგუფი ანტიპარტიული ფრაქციული მეთოდებით ცდილობდა შეეცვალა შემადგენლობა პარტიის ხელმძღვანელი ორგანოებისა, რომლებიც არჩეული არიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე. ანტიპარტიული ჯგუფის მონაწილენი უშუალ პირდაპირ ან არაპირდაპირ წინააღმდეგობას უწევდნენ პარტიის პოლიტიკურ ხაზს, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ მოიწონა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დაგმო, როგორც პარტიის ლენინურ პრინციპებთან შეუთავსებელი, მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის და მათთან მიმხრობილი შეპილოვის ანტიპარტიული ჯგუფის ფრაქციული საქმიანობა. პლენუმმა პრეზიდიუმის წევრთა შემადგენლობიდან და ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან გამოიყვანა ამხ. მალენკოვი, კაგანოვიჩი და მოლოტოვი და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის პოსტიდან მოხსნა და ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატთა შემადგენლობიდან და ცენტრალური კომიტეტის წევრთა შემადგენლობიდან გამოიყვანა ამხ. შეპილოვი.

საბჭოთა ადამიანები მთელი მრისხანებითა და გულისწყრომით ლაპარაკობენ მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის ანტიპარტიული ჯგუფის მონაწილეთა სამარცხვინო ცდებზე. უარყონ დიდი წარმატებანი, რომლებიც პარტიამ და ხალხმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შემდეგ მოიპოვეს.

აჭარის საოლქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე გამოსულმა ქობულეთის რაიონის კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. მ. ბაკუნაიშვილმა აღშფოთებით ილაპარაკა მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის და მათთან მიმხრობილი შეპილოვის ანტიპარტიული ჯგუფის ავანტიურისტულ მოქმედებაზე.

— სოფლის კომუნისტები და მათთან ერთად საკოლმეურნეო სოფლის ყველა მშრომელი, — თქვა მან, — ერთსულოვნად იწონებენ ღონისძიებებს, რომლებიც პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის ანტიპარტიული ჯგუფის ფრაქციული საქმიანობის აღსაკვეთად. სოფლის მეურნეობის საკითხებში ამ ჯგუფის მონაწილეებმა გამოამჟღავნეს, რომ მათ არ ესმით ახალი მომწიფებული ამოცანები. ისინი ეწინააღმდეგნენ სრულიად გაუმართლებელ ბრძოლას პარტიის იმ მოწოდების წინააღმდეგ, რომ უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე რძის, კარაქის და ხორცის წარმოების მხრივ. სოციალისტური სოფლის მშრომელები არავის არ მისცემენ უფლებას ხელი შეუშალოს მათ ამ დიდი ამოცანის წარმატებით გადაწყვეტაში, სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობის უზრუნველსაყოფად პარტიის მიერ დასახული ღონისძიებების განხორციელებაში.

მშობლიურ კომუნისტურ პარტიას არ გააჩნია სხვა საზრუნავი, გარდა საბჭოთა ხალხისათვის დაუცხრომელი ზრუნვისა. მშრომელთა ინტერესებისათვის თავდადებული ბრძოლა კომუნისტური პარტიის მთელი მოღვაწეობის უმაღლესი კანონია. ამიტომ არის, რომ პარტია და ხალხი განუყრელია, მთელი საბჭოთა ხალხი პარტიასთან ერთად მრისხანედ გმობს ანტიპარტიული ჯგუფის დამარღვეველ საქმიანობას, თავდადებით იბრძვის პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა მტკიცედ განხორციელებისათვის.

მომავალი წლის დამდეგიდან გაუქმება კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა მეურნეობების მიერ ყველა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის სავალდებულო ჩაბარებისა ნათლად მოწმობს საბჭოთა სახელმწიფოს მზარდ ეკონომიურ ძლიერებას, ჩვენი ხალხისათვის კომუნისტური პარტიის დაუცხრომელი ზრუნვის ახალ გამოვლინებას.

სახელოვანმა კომუნისტურმა პარტიამ თავისი სწორი პოლიტიკით საბჭოთა ხალხის უდიდესი სიყვარული და ნდობა დაიმსახურა. პარტიის ძალა და უძლეველობა ხალხთან კავშირშია. ამიტომ არის, რომ პარტია განუწყვეტლივ განამტკიცებს თავის კავშირს მასებთან, ხალხთან. ხალხი კი მტკიცედ მიჰყვება თავის მშობლიურ პარტიას. მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად საქართველოს მშრომელები ერთსულოვნად იწონებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებას, კიდევ უფრო მჭიდროდ ირაზმებიან კომუნისტური პარტიის გარშემო. ქარხნებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში კიდევ უფრო მძლავრად ჩაღდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილი საყოველთაო-სახალხო შეჯიბრება პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამის განხორციელებისათვის.

პარტიისადმი — თავისი ნაცადი და ბრძენი ბელადისა და მასწავლებლისადმი სიყვარულითა და ნდობით გაჟღენთილია მთელი საბჭოთა ხალხი.

პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა კომუნიზმის გამარჯვების საწინდარია.

ДЕСЯТКИ ТЫСЯЧ ЖИТЕЛЕЙ ЛЕНИНГРАДА ПРИВЕТСТВУЮТ РЕШЕНИЕ ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КПСС

Ленинград, 6 июля. (Корр.). Сообщение о решении Центрального Комитета КПСС, разоблачающем антипартийную группу Маленкова, Кагановича, Молотова, с большим интересом прочитано ленинградцами.

Ученый-биолог, профессор Ленинградского университета Н. А. Бельгаленин, доцент Ленинградского университета К. Е. Воронцов, доцент Ленинградского университета Е. А. Фурцева, доцент Ленинградского университета Н. Ю. Бруштейн, доцент Ленинградского университета Н. М. Шверник, рассказывают, что они, выступая перед рабочими ленинградских заводов, рассказывали ленинградцам о том, что Центральный Комитет партии, разоблачив антипартийную группу, обеспечивает дальнейшее развитие сельского хозяйства, выполнение задачи догнать Америку по производству молока, масла и мяса.

საბჭოთა ადამიანები ერთსულოვნად იწონებენ და მხარს უჭერენ კომუნისტური პარტიის პოლიტიკას

★ ★ ★

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილების შესახებ

განიხილა რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ, პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მალენკოვის, კაგანოვიჩისა და მოლოტოვის ანტიპარტიული ჯგუფის დროზე გამოვლინება და მხილება კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის უდიდესი დამსახურებაა პარტიის, მუშათა კლასისა და მთელი საბჭოთა ხალხის წინაშე.

ყველა საბჭოთა ადამიანი, ნათქვამია საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის რეზოლუციაში, უდიდესი აღფრთოვანებით ჩაება ბრძოლაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, ყრილობისა, რომელმაც დასახა სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების, სოციალისტური სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისა და მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესების უდიდესი პროგრამა.

დიდი სიხარულით და ღრმა კმაყოფილებით ხვდებიან ხალხის მასები სულ ახალ და ახალ წარმატებებს კომუნისტურ მშენებლობაში, სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ერთიანობის განმტკიცებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლაში, წარმატებებს, რომლებიც ჩვენმა ქვეყანამ კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის ბრძნული ხელმძღვანელობით მოიპოვა XX ყრილობის შემდეგ გასულ მოკლე ვადაში.

საბჭოთა ადამიანები, ნათქვამია შემდეგ საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის რეზოლუციაში, ამაყობენ თავიანთი მიღწევებით, მიაჩნიათ რა, რომ ეს მიღწევები შედეგია ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის — ჩვენი პარტიის გენიალური ხელმძღვანელობისა, მისი ბრძნული პოლიტიკისა, რომელიც გამოხატავს ხალხის მასების ნებასა და მისწრაფებებს. არასოდეს ასე მტკიცე და ძლიერი არ ყოფილა სსრ კავშირის ხალხთა მჭიდრო დარაზმულობა თავისი მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო, ყველა საბჭოთა ადამიანი მხურვალედ უჭერს მხარს პარტიის ყველა ღონისძიებას და თავდადებით იბრძვის მათი განხორციელებისათვის.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმი აღშფოთებით გმობს მალენკოვის, კაგანოვიჩისა და მოლოტოვის ანტიპარტიულ ჯგუფს, რომელმაც თავისი თავი დაუპირისპირა მთელ პარტიასა და ხალხს. ამ ჯგუფის წევრები მოსწყდნენ პარტიისა და ჩვენი ქვეყნის ცხოვრებას, მიმართეს პარტიის მიერ დიდიხანია დაგმობილ ფრაქციული ბრძოლისა და ინტრიგანობის მეთოდებს, რათა შეეცვალათ პარტიის პოლიტიკა, აღედგინათ პარტიაში ხელმძღვანელობის ის არასწორი მეთოდები, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დაგმო.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ანტიპარტიული ჯგუფის იერიშები პარტიის გენერალური ხაზის წინააღმდეგ, პარტიას ხელმძღვანელი ორგანოების შემადგენლობის შეცვლისათვის ბრძოლის მისი დანაშაულებრივი მეთოდები ამავე დროს წარმოადგენენ ცდას ლახვარი ჩაეცათ მუშათა კლასის მოხოლოთურობისათვის, შეესუსტებინათ ხალხის, მისი მასობრივი ორგანიზაციების, მათ შორის პროფესიული კავშირების მჭიდრო დარაზმულობა პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმი, აღნიშნულია რეზოლუციის დასკვნით ნაწილში, სავსებით და მთლიანად იწონებს და უერთდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებას, რომელიც გამოხატავს მთელი ხალხის ნებას, მის მხურვალე სიყვარულს პარტიისადმი და ურღვევ დარაზმულობას მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმი მოუწოდებს პროფესიულ კავშირთა ყველა წევრს, ყველა მუშას, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკსა და მოსამსახურეს კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმონ თავიანთი რიგები ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, ახალი შრომითი გამარჯვებებით ცხადყონ ხალხის უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი და უძლეველი დროშისადმი, კიდევ უფრო ფართოდ გაჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება, გაამრავლონ თავიანთი ღონისძიებანი კომუნიზმის მშენებლობის ახალი წარმატებებისათვის ბრძოლაში.

★

დაუცხრომლად განვამტკიცოთ პარტიის რიგების ერთიანობა

ქალაქ გორისა და გორის რაიონის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება

შედგა ქალაქ გორისა და გორის რაიონის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება, რომელსაც 450-ზე მეტი კაცი დაესწრო.

„გ. მ. მალენკოვის, ლ. მ. კაგანოვიჩის, ვ. მ. მოლოტოვის ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებაზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **გ. ჩოგოვაძემ.**

მომხსენებელმა დაწვრილებით ილაპარაკა ანტიპარტიული ჯგუფის ავანტიურისტულ მოქმედებაზე. ამ ანტიპარტიული ჯგუფის მონაწილენი პირდაპირ ან არაპირდაპირ წინააღმდეგობას უწევდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის კურსს, ილაშქრებდნენ დემოკრატიული ცენტრალიზმის ლენინური პრინციპის წინააღმდეგ, რომელსაც პარტია ახორციელებს.

აქტივის კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილება.

— ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, — თქვა გორის ბამბეულის კომბინატის პარტბიუროს მდივანმა ამხ. დ. ბედოშვილმა, — გორელი ფეიქრები ერთსულოვნად იწონებენ პლენუმის გადაწყვეტილებას, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის ბედისათვის. იმყოფებიან რა ძველი წარმოდგენების ტყვეობაში, ანტიპარტიული ჯგუფის მონაწილეებს არ ესმოდათ და არ ესმით კომუნიზმაკენ ჩვენი წინსვლის ახალი მომწიფებული ამოცანები, ყოველი ღონისძიებით აფერხებდნენ პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული პროგრამის შესრულებას.

სოფელ კარალეთის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ თავმჯდომარემ ამხ. მ. ჯაშაშვილმა განაცხადა, რომ ანტიპარტიული ჯგუფის მონაწილენი მალენკოვი, კაგანოვიჩი, მოლოტოვი და მათთან მიმხრობილი შეპილოვი წინააღმდეგი იყვნენ კოლმეურნეობებში დაგეგმვის ძველი ბიუროკრატიული წესის გაუქმებისა.

— დაგეგმვის ახალი წესი, — თქვა მან, — ავითარებს კოლმეურნეობათა ინიციატივას საკუთარი მეურნეობის გაძღოლაში. ამაში ჩვენი კოლმეურნეობის წევრები პრაქტიკულად დარწმუნდნენ. კოლმეურნეობაში დაგეგმვის ახალი წესის განხორციელებამ ხელი შეუწყო სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის მკვეთრ აღმავლობას.

აქტივის კრებაზე სიტყვებით გამოსული ყველა ორატორი — პარტიის გორის რაიკომის მდივანი ამხ. ზ. თავზარაშვილი, რკინიგზის გორის სადგურის უფროსი ამხ. ნ. ყიფიანი, გორის ბამბეულის კომბინატის მუშა ამხ. ზ. ივანოვა და სხვები მხურვალედ იწონებდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას.

აქტივის კრებაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი ამხ. **ი. ვ. შიკინი.**

ქალაქ გორისა და გორის რაიონის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომლითაც ერთსულოვნად მოიწონა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება და პირობა მისცა პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომ უფრო მეტი ენერგიით იმუშავებს სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად.

დიდი ლენინის მიერ ნაჩვენები გზით

★

ახალციხის რაიონული პარტიული აქტივის კრება

★

ამ დღეებში გაამართა ახალციხის რაიონული პარტიული აქტივის კრება. კრების მუშაობაში მონაწილეობას იღებდა 500-ზე მეტი კაცი.

„გ. მ. მალენკოვის, ლ. მ. კაგანოვიჩის, ვ. მ. მოლოტოვის ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებაზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, არმიის გენერალი ამხ. **ი. ფედიუნინსკი.**

აქტივის კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ განხორციელებული ღონისძიებანი მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის და მათთან მიმხრობილი შეპილოვის ანტიპარტიული ჯგუფის საქმიანობის აღსაკვეთად. თავიანთი ფრაქციული მოქმედებით ანტიპარტიული ჯგუფის მონაწილენი ცდილობდნენ გაეთიშათ პარტია, შეეტანათ რყევა მის რიგებში, დაადგნენ პარტიის ლენინური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლის გზას.

აქტივის მონაწილეებმა აღშფოთებითა და გულისწყრომით დაგმეს მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის ანტიპარტიული ჯგუფი, რომელმაც პირი შეკრა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ და ცდილობდა ფრაქციული მეთოდებით ეიძულებინა პარტია გადაეხვია ლენინური გზიდან.

— დაე იცოდნენ ანტიპარტიული ჯგუფის მონაწილეებმა, — ერთხმად აცხადებდნენ აქტივის კრების მონაწილენი, — რომ არ არსებობს ძალა, რომელიც გადაახვევინებს ჩვენს პარტიას დიდი ლენინის მიერ დასახული გზიდან.

აქტივის კრებაზე სიტყვებით გამოსულმა შახტმშენებლობის სამმართველოს, პირველი და მეორე შახტების პირველადი პარტორგანიზაციების მდივნებმა ამხ. გ. სოსელიამ, შ. თოთაძემ, პ. კისელიოვმა ილაპარაკეს იმ დიდ ღონისძიებებზე, რომლებსაც უკანასკნელ წლებში პარტია ახორციელებს მრეწველობისა და მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით.

— ამ ღონისძიებათაგან უმთავრესია, — თქვა თავის სიტყვაში ამხ. კისელიოვმა, — მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნა, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით განხორციელდა. მრეწველობის მართვის გარდაქმნის შედეგები ყველა ჩვენგანისათვის ნათელია. ანტიპარტიული ჯგუფის მონაწილენი კი წინააღმდეგობას უწევდნენ ამ დიდმნიშვნელოვანი ღონისძიების განხორციელებას. ახალციხელი მეშახტეები და შახტმშენებლები გულისწყრომით გმობენ მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის და მათთან მიმხრობილი შეპილოვის ანტიპარტიული ჯგუფის ფრაქციულ საქმიანობას, ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ მისცენ სამშობლოს რაც შეიძლება მეტი ქვანახშირი.

— ჩვენი არტელის კოლმეურნეგლეხობა, — განაცხადა სოფელ აწყურის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ვ. გაჩეჩილაძემ, — გულითად მადლობას უძღვნის მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის ანტიპარტიული ჯგუფის ავანტიურისტული საქმიანობის მხილებისათვის. პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილება ხელს შეგვიწყობს კიდევ უფრო სწრაფად ვიაროთ წინ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის შექმნისათვის.

პარტიული აქტივის კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ პარტიის ახალციხის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. კ. კაპანაძე, ფ. ვოიკინი და ი. გრიზოვი. მათ დიდი აღშფოთებითა და გულისწყრომით ილაპარაკეს მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის ანტიპარტიული ჯგუფის საქმიანობაზე, ჯგუფისა, რომელიც თავისი გამთიშველური მოქმედებით ცდილობდა ძირი გამოეთხარა სოციალისტური სამშობლოს ძლიერებისათვის.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში პარტიული აქტივის კრებამ მხურვალედ მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილება მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ. აქტივის კრების მონაწილეებმა პირობა მისცეს პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ ახალციხის პარტიული ორგანიზაცია თვალისჩინივით გაუფრთხილდება პარტიის რიგების ერთიანობას, მუდამ მაღლა დაიჭერს მარქსიზმ-ლენინიზმის უძლეველ დროშას.

⊙

შირაქის ველზე, მექანიზებულ კალოზე, შესვენების დროს წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის ბრიგადირმა, აგიტატორმა გ. შარმაზანაშვილმა კოლმეურნეებს გააცნო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილება „გ. მ. მალენკოვის, ლ. მ. კაგანოვიჩის, ვ. მ. მოლოტოვის ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ“. კოლმეურნეებმა მხურვალედ მოიწონეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილება და პირობა დადეს კიდევ უფრო გააძლიერონ მოსავლის აღების ტემპი. სურათზე: აგიტატორი გ. შარმაზანაშვილი კოლმეურნეებს აცნობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებას.

ფოტო გ. გოგოხიასი.

⊙

მოსავლის აღების ფრონტზე

კომბაინის საჭესთან

კავკასიონისა და გომბორის მთებს შუა გადაშლილია შიდა კახეთის ბარაქიანი ველები, თვალუწვდენი პურის ყანები...

ლაკოს წყაროს ყანებში, როგორც აქ ამ მინდვრებს უწოდებენ, 800 ჰექტარი ნათესი ეკუთვნის ყვარლის რაიონის ენისლის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობას. ამ ნაკვეთებში მკის პურს ენისლის მტს-ის კომბაინის აგრეგატი, რომლის უფროსია მთელს რაიონში სახელგანთქმული მექანიზატორი ბიჭიკო ბერიაშვილი.

ბ. ბერიაშვილი.

• • •

პარტიის რაიონულ კომიტეტშიც, რაიონული გაზეთის რედაქციაშიც, მტს-შიც — ყველგან ბიჭიკოს ქება გვესმოდა, და აი ახლა ჩვენს წინ დგას ჯმუხა, შავთვალა ყმაწვილი და ოდნავ დარცხვენით გვიპასუხებს კითხვებზე.

— ყანებში თავის დროზე გავედით და რვა დღეში 200 ჰექტარზე ავიღეთ პურის მოსავალი. ყოველდღიურად საშუალოდ 23 ჰექტარს ვიღებთ.

— თვითეულ ჰექტარზე დღეში რამდენს ღებულობ? — შევეკითხეთ კომბაინერს.

— 18 ცენტნერს ვაღწევთ.

საუბარი სოციალისტურ შეჯიბრებას შეეხო.

— ჩაბმული ვარ დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ შეჯიბრებაში და გამოწვეული მყავს სოფელ შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის ცნობილი კომბაინერი ნასყიდა კურდღელაშვილი. მე კი იმავე კოლმეურნეობის მეორე კომბაინერმა ნასყიდა მეტრეველმა გამომიწვია. ორივენი ძლიერი მეტოქეები არიან, მაგრამ ვფიქრობ არ ჩამოვრჩე მათ, — ღიმილით ამბობს კომბაინერი. შარშან 340 ჰექტარზე ავიღე მოსავალი, წელს კი 400 ჰექტარის მომკა ვიკისრე.

ბ. ბერიაშვილი ბავშვობიდანვე ოცნებობდა ტრაქტორისტის პროფესიაზე. მამას — რაიონში ერთ-ერთ პირველ ტრაქტორისტს ვანო ბერიაშვილს პატარა ბიჭიკო სამუშაოზე მიჰყვებოდა ხოლმე.

1941 წელს, დიდი სამამულო ომის დაწყებისას, 15 წლის ბიჭიკომ სატრაქტორო კურსები დაამთავრა და მამისეული ტრაქტორის საჭეს მიუჯდა. ცხრა წელი იმუშავა ტრაქტორისტად და ვინ მოთვლის, ამ ხნის განმავლობაში ბევრი ახალგაზრდა ტექნიკური საკოლმეურნეო მიწა დაამუშავა მუყაითად. ასე — 1950 წელს მიწინავე მექანიზატორი სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელად დააწინაურეს. პარალელურად კომბაინერის სპეციალობაც შეისწავლა.

ამჟამად ბ. ბერიაშვილს „სტალინეც-6“ მარკის კომბაინის აგრეგატი № 6 აქვს ჩაბარებული. ამ აგრეგატს სამი განუყრელი მეგობარი — კომბაინერი ბიჭიკო ბერიაშვილი, მეშტურვალე მიხეილ ოთარაშვილი და ტრაქტორისტი შალვა ადომლიშვილი — ემსახურება.

ალიონიდან გვიან ღამემდე არ ცხრება „მინდვრის ხომალდის“ გუგუნი ყანებში. მხოლოდ ღამის 3-4 საათზე, როცა ყანას ცვარ-ნამი ეცემა, ბერიაშვილი აჩერებს კომბაინს, რომ მეგობრებთან ერთად თვალი მილულოს, ხოლო პირველ მზის სხივებთან ერთად კვლავ თავის საპატიო შრომას შეუდგეს.

დაძაბული დღეებია, ჩქარობს სახელოვანი კომბაინერი. მას ხომ შარშანდელთან შედარებით გადიდებული ვალდებულებები უკისრია. პირობას კი შესრულება უნდა!

წარჩინებულ კომბაინერს სიყვარული და პატივისცემა დაუმსახურებია არა მარტო თავის თანასოფლელებს შორის, არამედ მთელს რაიონში. მის წარმატებებზე ხშირად წერს რაიონული გაზეთი „ლენინური გზით“.

ილაპარაკა რა თავის მუშაობის გამოცდილებაზე, კომბაინერმა აღნიშნა:

— პურს აღებისათვის მზადება ზამთარში დავაწყეთ. ჩვენზე მოსავლელად მომაგრებული კომბაინი ზამთარშივე კარგად შევაკეთეთ, ახლა კი ყოველდღიურად სამუშაოს დაწყებამდე ერთი საათის განმავლობაში ტექნიკურ დათვალიერებას ვატარებ და თუ რაიმე უწესრიგობას შევამჩნევ აგრეგატში, მაშინვე ვიღებ ზომებს მისი გამოსწორებისათვის.

თავისი სპეციალობის ღრმად ცოდნა, სამშობლოს წინაშე მოვალეობის მაღალი შეგნება, შრომისადმი ახლებური, სოციალისტური დამოკიდებულება — აი რა განაპირობებს მექანიზატორ ბ. ბერიაშვილის წარმატებებს მოსავლის აღების ფრონტზე.

ლ. ბაბრატიონი,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობა

მოსავალი აღებულია 91.228 ჰექტარზე

რესპუბლიკის კოლმეურნეობებში დღითიდღე ფართოვდება თვითვაციანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღების ტემპი. ეს სამუშაო შარშანდელთან შედარებით წელს უფრო ადრე დაიწყო. 5 ივლისისათვის სულ მოსავალი აღებულია 91.228 ჰექტარზე ანუ გეგმის 26,1 პროცენტი. გასულ წელს ამავე პერიოდისათვის აღებული იყო 22.226 ჰექტარი.

თეთრი წყაროს რაიონში პურეულის მოსავალი აღებულია 4.032 ჰექტარზე, გურჯაანის — 3.390, კაჭრეთის — 4.701, სოღნაღის — 19.472, წითელწყაროს — 15.945, თელავის — 2.804, ახმეტის — 2.825, ყვარლის — 6.112, ლაგოდეხის — 6.125, გარეუბნის — 4.228, გარდაბნის — 4.807, მარნეულის — 5.922, ბოლნისის — 3.481, საგარეჯოს რაიონში — 5.217 ჰექტარზე.

• • •

ბუნებრივი და ნათესი ბალახების თიბვა

5 ივლისისათვის რესპუბლიკაში ბუნებრივი ბალახები გათიბული იყო 28.165 ჰექტარზე, რაც დავალების 13,3 პროცენტს შეადგენს. ნათესი ბალახები გათიბულია 9.389 ჰექტარზე ანუ გეგმის 20,2 პროცენტი.

თეთრი წყაროს რაიონში ბუნებრივი ბალახის გათიბვის დავალება შესრულებულია 16 პროცენტით, კაჭრეთის — 21,6, სოღნაღის — 33, წითელწყაროს — 53,5, თელავის — 22,4, ახმეტის — 67, ყვარლის — 35,3 გარეუბნის — 23,1, მარნეულის — 41, ბოლნისის — 53,7, საგარეჯოს — 33,3, დმანისის რაიონში — 2,5, ხოლო სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 26,7 პროცენტით. ამ რაიონებში მასობრივად არის გაჩაღებული ნათესი ბალახების თიბვა და დაზვინვა.

• • •

მოჭნულია 27.271 ჰექტარი ანეული

შარშანდელთან შედარებით წელს კოლმეურნეობებში უფრო ორგანიზებულად მიმდინარეობს ანეულის ხვნა. 1 ივლისისათვის მოხნული იყო 27.271 ჰექტარი, რაც გეგმის 83,5 პროცენტს შეადგენს. გასულ წელს კი ამავე პერიოდისათვის დავალება შესრულებული იყო 59,2 პროცენტით.

ახალქალაქის რაიონში ანეულის ხვნის დავალება შესრულებულია 78,1 პროცენტით, ბოგდანოვკის — 92, ქარელის — 113,6, გორის — 73,8, კასპის — 114,2, წალკის — 15,8, თეთრი წყაროს —78,3, სოღნაღის — 15,5, გარეუბნის — 82,6, მარნეულის — 97,1, ბოლნისის — 106,4, საგარეჯოს — 86,3, დმანისის რაიონში — 60,6, ხოლო სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 24,1 პროცენტით.

ჩაის ფოთლის დამზადება

(„საქართველოს ჩაის“ ტრესტის 1957 წლის 6 ივლისის ცნობებით)

რაიონები	გეგმის შესრულება %-ობით წლიურისა	ივლისსა წინა თვეების დანაკლისის ჩათვლით	რაიკომის მდივნები, რაიაღმასკომის თავმჯდომარეები
ბათუმის	53,7	18,9	ხ. ეხაძე, ა. ანანიძე
ქობულეთის	46,8	12,0	ა. გოგიტიძე, ლ. წულუკიძე
ქედის	42,5	15,2	ვ. კიკვაძე, ვ. ნაკაშიძე
სულ აჭარაში	48,6	13,6	
გალის	44,5	13,0	დ. გოგოხია, ხ. ტუფურია
ოჩამჩირის	47,7	12,2	ჩ. აბგაჯი, ტ. ხოხელია
გულრიფშის	57,0	22,1	ლ. ელექჩიანი, შ. ბოკერია
სოხუმის	55,7	21,5	გ. ჭაჩია, პ. ცანავა
გუდაუთის	44,5	7,5	დ. ხვარცკია, კ. გერია
სულ აფხაზეთში	46,1	12,5	
მახარაძის	43,3	10,6	შ. ჭანუყვაძე, დ. ხაბაშვილი
ჩოხატაურის	47,2	11,0	ა. გობრონიძე, გ. მამალაძე
ლანჩხუთის	44,6	13,7	დ. მანწკავა, მ. ვადაჭკორია
სამტრედიის	41,3	8,5	ნ. ფანცულაია, მ. ახათიანი
წულუკიძის	30,4	7,0	ს. ლეჟავა, მ. აბზიანიძე
ქუთაისის	35,2	11,7	მ. ბიბილაშვილი, ლ. ტაბიძე
წყალტუბოს	47,0	4,2	ვ. ურუშაძე, გ. გაგოშიძე
ტყიბულის	39,7	15,8	კ. ლომაძე, ი. გორგობიანი
ცხაკაიას	31,5	4,9	ი. ურუშაძე, დ. ბაღათურია
აბაშის	24,6	5,5	მ. ბოკერია, ა. ჯღარკავა
გეგეჭკორის	38,6	11,3	კ. ხუბულავა, გ. შეროზია
ზუგდიდის	39,0	11,8	მ. ღვინჯილია, ვ. ესართია
წალენჯიხის	46,2	15,7	ვ. კვარაცხელია, ი. ზარანდია
ჩხოროწყუს	43,0	14,0	მ. ცანავა, შ. ხუნტუა
ხობის	42,2	13,7	ა. წურწუმია, ს. ნასარაია
თერჯოლის	57,6	19,2	პ. სახეჩიძე, ი. შუღლაძე
ზესტაფონის	33,3	6,0	შ. ხიდაშელი, გ. არევაძე
ჭიათურის	47,8	23,3	პ. აბესაძე, გ. ლომიძე
ვანის	47,0	20,7	გ. ლილუაშვილი, ა. ლომინაძე
სულ საქართველოს სსრ-ში	43,6	11,9	

პრესის მიმოხილვა

მოსავლის აღება — ყურადღების ცენტრში

თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის მოკლე ვადებში და დანაკარგოდ აღებისათვის ბრძოლაში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის რაიონულ პრესას. ამ მხრივ გარკვეულ მაორგანიზებელ და მამობილიზებელ მუშაობას ეწევა გურჯაანის რაიონული გაზეთი **„საკოლმეურნეო შრომა“** (რედაქტორი შ. მაჭავარიანი).

მოსავლის აღების დაწყებამდე კარგა ხნით ადრე გაზეთმა დაიწყო ამ მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო კამპანიისათვის მზადების გაშუქება. მის ფურცლებზე დაიბეჭდა კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების ამხ. შ. გუგაშვილის (სოფელი კარდანახი), მ. იაშვილის (სოფელი ვაზისუბანი), გ. ძამსაშვილის (სოფელი შრომა), აგრონომიკოს ა. მრევლიშვილის (სოფელი ჭანდარი) და სხვ. საინტერესო წერილები, რომლებშიც მოთხრობილი იყო მათს ვალდებულებებსა და გეგმებზე მოსავლის აღების პერიოდისათვის. გაზეთმა მკითხველებს უამბო აგრეთვე იმ მოსამზადებელ სამუშაოებზე, რაც გაჩაღებული იყო გურჯაანის მტს-ში, ქ. გურჯაანის ორჯონიკიძის სახელობის და რაიონის მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებში.

„საკოლმეურნეო შრომამ“ გამოაქვეყნა გურჯაანის მტს-ის № 12 კომბაინის აგრეგატის კოლექტივის (აგრეგატის უფროსი — კომბაინერი იაკობ ბელიანინი) მიმართვა რესპუბლიკის ყველა კომბაინერისადმი მოწოდებით მურეულის უმოკლეს დროში და უდანაკარგოდ აღებისათვის საქართველოს კომბაინების აგრეგატებს შორის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ. ამ მოწოდებამ ფართო მხარდაჭერა ჰპოვა რაიონის ყველა კომბაინის აგრეგატების კოლექტივებს შორის. გაზეთის მომდევნო ნომრებში გამოქვეყნდა გურჯაანის მტს-ის № 11, ველისციხის მტს-ის № 3 და სხვა კომბაინების აგრეგატების კოლექტივების წერილები. მათში, ისევე როგორც შეჯიბრების ინიციატორის კომუნისტ ი. ბელიანინის კომბაინის აგრეგატის კოლექტივის წერილში, განზოგადებულია კომბაინერთა საწარმოო გამოცდილება და მოთხრობილია მათს გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებებზე.

ახლა, როცა რაიონში გაჩაღებულია თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება, „საკოლმეურნეო შრომა“ თავის ფურცლებზე ფართო ადგილს უთმობს პურეულის აღებაში დაწინაურებულთა მუშაობის ჩვენებას, კომბაინერთა მიერ ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობას. ამ თემას გაზეთი უთმობს მთელ გვერდებს.

როგორც კი კომბაინერთა შეჯიბრების ინიციატორი ი. ბელიანინი ყანის მკას შეუდგა, გაზეთმა ამის შესახებ ვრცელი რეპორტაჟი დაბეჭდა. მოწინავე კომბაინერი პირნათლად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას — დღეში 20 ჰექტარ ყანას მკის და ჰექტარზე 20 ცენტნერ ხორბალს ლეწავს. თავიანთი ენერგიული შრომით ი. ბელიანინს გვერდს უმშვენებენ მისი შვილი მეთერთმეტეკლასელი ვლადიმერი, რომელიც მეშტურვალედ მუშაობს, და ტრაქტორისტები ვახტანგ სესიაშვილი და გოგი ბერიანიძე. გაზეთის ფურცლებზე მკითხველები ეცნობიან სხვა მოწინავე კომბაინერების მიღწევებსაც. სოფელ ვეჯინის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში გურჯაანის მტს-ის კომბაინერებმა ვ. ლუდიძემ, რომელიც ი. ბელიანინს ეჯიბრება, და ს. სიმონიშვილმა „სტალინეც-6“ კომბაინებით მოკლე დროში 200 ჰექტარზე აიღეს პურეული. კოლმეურნეობა ბარაქიან მოსავალს იღებს. აქ ჰექტარზე 29,7 ცენტნერი ქერი მომკეს, ხორბლის საშუალო მოსავალიც ჰექტარზე 20 ცენტნერზე ნაკლები არ არის. სოფელ ველისციხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში, რომელმაც რაიონში პირველმა დაამთავრა თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება, კომბაინერმა კ. ლისოვსკიმ თვითმავალი კომბაინით ხუთ დღეში 60 ჰექტარი მომკა და თვითეულ ჰექტარზე გეგმით ნავარაუდევი 12 ცენტნერის ნაცვლად 17 ცენტნერი ხორბალი გალეწა.“

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურებულ კომბაინერთა მუშაობის ჩვენებასთან ერთად გაზეთი მთელი პირდაპირობით ამხილებს ნაკლოვანებებს, რომლებიც თავს იჩენენ ცალკეული კომბაინების აგრეგატების საქმიანობაში, მზის სინათლეზე გამოაქვს მინდვრად ტექნიკის მოცდენის თვითეული შემთხვევა, მკაცრად აკრიტიკებს იმ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებს, რომლებიც სათანადოდ ვერ აწყობენ ხორბლის განავვებას, დაბარისხებასა და გაწმენდას, აგვიანებენ სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარებას.

დროულად ამხილა გაზეთმა კომბაინების მოცდენის შემთხვევები ჩუმლაყის, ახაშნის, ვაზისუბნის, შაშიანის და ზოგიერთი სხვა სოფლის კოლმეურნეობებში.

გაზეთი ყურადღებით ეკიდება მოსავლის აღების პერიოდში სოფლად პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ჩვენებას. იგი საქმიანად აკრიტიკებს იმ საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციებს, რომლებმაც სათანადოდ ვერ გაშალეს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა მინდვრად, ვერ მოაგვარეს საველე აგიტპუნქტების მუშაობა და საველე ფურცლების სისტემატურად გამოშვება.

თავისი მაორგანიზებელი და მამობილიზებელი როლით გაზეთი „საკოლმეურნეო შრომა“ დიდ დახმარებას უწევს რაიონის პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს, სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელს ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაში. მაგრამ გაზეთს უფრო მეტის გაკეთება შეუძლია.

„საკოლმეურნეო შრომის“ რედაქციამ ამ დღეებში ფართოდ უნდა გამოიყენოს საბჭოთა პრესის მუშაობის ისეთი შესანიშნავი მეთოდები, როგორიც არის სარეიდო ბრიგადების, მოსავლის აღების გადამწყვეტ უბნებზე მუშსოფლკორთა საგუშაგოების მოწყობა. გაზეთის ფურცლებზე სისტემატურად უნდა იბეჭდებოდეს კოლმეურნეების, კომბაინერების, ტრაქტორისტების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების წერილები, რომლებშიც მოთხრობილი იქნება მათი გამოცდილების შესახებ. გაზეთი თვალყურს უნდა ადევნებდეს გამოქვეყნებული მასალების ქმედითობას, აღწევდეს იმას, რომ მის ფურცლებზე აღწერილი მოწინავე გამოცდილება, ნოვატორული წინადადებანი ფართოდ ინერგებოდეს რაიონის ყველა კოლმეურნეობაში და მტს-ებში. ხოლო მხილებული ნაკლოვანებანი სწრაფად აღმოიფხვრებოდეს.



თბილისის ჩარხმშენებელ ქარხანა „დაზგაში“ დაამთავრეს მრავალსახეხი პრეციზიული ჩარხების პირველი პარტიის აწყობა. ეს ჩარხები გაიგზავნება ჩვენი ქვეყნის ბევრ საწარმოში. წელს ქარხანა 100 ცალ ასეთ ჩარხს გამოუშვებს. ს ურ ა თ ს ზ ე: ზეინკალი-ამწყობი ა. თოდაძე (მარცხნივ) და საამქროს ტექნოლოგი გ. მოისწრაფიშვილი მრავალსახეხ პრეციზიულ ჩარხთან.

ფოტო ი. ედიგარაშვილისა. (საქროსის ფოტოქრონიკა).

ქალაქი ქუთაისი

დიადი თარიღის აღსანიშნავად

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისთვის მზადებასთან დაკავშირებით ვ. აბაშიძის სახელობის საქალაქო კულტურის სახლმა მოაწყო გამოფენა, რომლის მასალები ნათლად ასახავენ ოქტომბრის შემდგომ პერიოდში საბჭოთა ხალხის მიერ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოპოვებულ დიად გამარჯვებებს.

კულტურის სახლის დრამატული კოლექტივი ამზადებს სპეციალურ მონტაჟს „დიადი ოქტომბერი“. ამას წინათ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებამ და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის საქალაქო კომიტეტმა საკოლმეურნეო სოფლისადმი კულტურული შეფობის საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის კულტურის სახლის კოლექტივს დაუტოვეს გარდამავალი წითელი დროშა, რომელსაც იგი მეორე წელია ინარჩუნებს.

საწარმოო სიახლენი

მანქანათმშენებელი ქარხნის სამსხმელო საამქროში დამთავრდა სილისა და თიხის გასაშრობი აგრეგატის დამონტაჟება, რის შედეგად მიღწეულ იქნა ხათბობის დიდი ეკონომია, გაუმჯობესდა სხმულის ხარისხი. ლტოპონის ქარხნის ბარიუმის საამქროში ადგილობრივი ძალებით მოეწყო კოქსის ამწევი მექანიზმი, რომლის შედეგად მძიმე შრომატევადი სამუშაოსაგან გათავისუფლდა რამდენიმე მუშა.

საცხოვრებელი სახლები

ამას წინათ ექსპლოატაციოდ გადაეცა რკინიგზის მუშაკთა ოთხსართულიანი 17-ბინიანი საცხოვრებელი სახლი მიასნიკოვის ქუჩაზე. კარგი საჩუქარი მიიღეს აგრეთვე მელიტოპონელებმა. მათთვის როზენფეიჩის ქუჩაზე აშენდა სამსართულიანი 15-ბინიანი საცხოვრებელი სახლი.

ახალი რესტორანი

ლენინის პროსპექტზე ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლის პირველ სართულში გაიხსნა კეთილმოწყობილი რესტორანი „კოლხიდა“. მის მოწყობაზე დაიხარჯა ოთხას ათასამდე მანეთი.

ი. ბუხაიძე.

ჩაის კრეფის მაღალი მაჩვენებლებისათვის გარდამავალი წითელი დროშა

ხობი. (სპეც. კორ.). ჩაის ფოთლის კრეფის მაისის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის პარტიის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა ახალხებულის კიროვის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე გ. ნანეიშვილი, პარტბიუროს მდივანი დ. ლაშხია).

ივნისში მეჩაიეებმა კრეფის ტემპი კიდევ უფრო გააძლიერეს. დღეში კოლმეურნეობაში გეგმით უნდა მოკრეფილიყო 4 ტონა, ფაქტიურად კრეფდნენ 7 ტონას და ივნისის დავალება შეასრულეს.

მეჩაიეთა შორის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ მ. ჟიჟკარიანი, რ. კვარაცხელია, მ. ვარდია, მ. ხარამაშვილი, ლ. ბასილაია და სხვ.

კოლმეურნეობამ იკისრა ივლისში გეგმის გადამეტებით მოკრიფოს 30 ტონა ჩაი და საერთოდ წლიურ გეგმას გადააჭარბოს 100 ტონით.

გამსვლელი სამეცნიერო სესია

ამ დღეებში თელავში გაიმართა საქართველოს ჰიგიენისტთა სამეცნიერო საზოგადოებისა და თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის გაერთიანებული გამსვლელი სესია.

სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს თელავის, ყვარლის, ახმეტის, გურჯაანის, წითელწყაროს, გუდაუთის, სოხუმის, ტყვარჩელის ექიმებმა, თელავის რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოების წარმომადგენლებმა.

სესიამ მოისმინა და განიხილა სამეცნიერო-პრაქტიკული ხასიათის 15 მოხსენება.

საინტერესო იყო რესპუბლიკის სანეპიდსადგურის მთავარი ექიმის ლ. საყვარელიძის მოხსენება „1956 წელს ინფექციური დაავადებების წინააღმდეგ ჩატარებული მუშაობის ანალიზი და ჩვენი უახლოესი ამოცანები.“

პრაქტიკოსი ექიმების დიდი ინტერესი გამოიწვია სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის პროფ. გ. კვიტაიშვილის მოხსენებამ „დიზენტერიის და დიფტერიის მკურნალობისა და პროფილაქტიკის საკითხისათვის“.

თელავის რაიონული სანეპიდსადგურის მუშაობის ორგანიზაციულ საკითხებს მიეძღვნა მთავარი ექიმის შ. ბილარჯიშვილის გამოსვლა. ამავე სანეპიდსადგურიდან საინტერესო მოხსენებები წაიკითხეს შ. ღვინიაშვილმა და გ. ვართანოვმა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს პროფესორმა ა. ასათიანმა, რესპუბლიკის მთავარმა ეპიდემიოლოგმა დოცენტმა ნ. აბესაძემ, გუდაუთის სანეპიდსადგურის პარაზიტოლოგიური განყოფილების გამგემ შ. გუჯაბიძემ, თელავის ინფექციური საავადმყოფოს ექიმმა მოლოდინაშვილმა და სხვებმა.

სესიამ დასახა ფართო პროფილაქტიკური ღონისძიებანი თელავის რაიონის სამედიცინო-სანიტარულ დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესებისათვის და მოსახლეობის ჯანმრთელობის შემდგომი განმტკიცებისათვის.

პროფესორი გ. ნათაძე,

საქართველოს ჰიგიენისტთა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი.

საგარეუბნო კურორტებზე

დიდი პოპულარობით სარგებლობენ თბილისის მშრომელებში საგარეუბნო კურორტები — კოჯორი, წყნეთი, კიკეთი, მანგლისი, ოქროყანა, რადგან მათ საუცხოო ადგილმდებარეობა და ჰავა აქვთ და ახლოს არიან ქალაქთან.

წელს საგარეუბნო კურორტებზე სეზონის განმავლობაში იმუშავებს 5 სანატორიუმი, რამდენიმე დასასვენებელი სახლი, რომლებშიც დასვენებს ხუთი ათასი კაცი, 4 საბავშვო სანატორიუმი და ბავშვთა გამოჯანსაღებელი რამდენიმე სხვა დაწესებულება, რომლებიც 12 ათასამდე ბავშვს მოემსახურება. სულ ამ კურორტებზე წელს დაისვენებს 45.000 კაცი, აქედან 25 ათასზე მეტი არაორგანიზებული ლამსვენებელი.

საგარეუბნო კურორტების კეთილმოწყობისათვის წელს დიდი მუშაობაა გაწეული. კოჯორსა და კიკეთში კაპიტალურად შეკეთდა ყველა სანატორიუმი და მოგგარაკეთა ბინები. წყნეთის სანატორიუმს კაპიტალური რემონტი გაუკეთდა, მის წინ მოეწყო ღია ესტრადა, სასპორტო მოედანი.

კურორტ მანგლისში ოგო 120 კუბური მეტრი მოცულობის წყლის აუზი, ჩატარდა განთქმული ფიჭვის ჭალის კეთილმოწყობა, მოეწყო ახალი ესტრადა 400 მაყურებლისათვის.



კურორტი მენჯი. სანატორიუმის ხედი. ფოტო ნ. შეპოტკინისა.

წ ე რ ი ლ ე ბ ი რ ე დ ა ქ ც ი ა ს

ავზომაზიკა ჩაის მრეწველობაში

სანამ ჩაის გასაყიდად გაიტანდნენ მაღაზიაში, მან ფაბრიკაში მთელი რიგი ტექნოლოგიური პროცესები უნდა გაიაროს. ერთი ამ პროცესთაგანია ჩაის ფერმენტაცია. ამ დროს ჩაის ფოთოლში მიმდინარეობს რთული ქიმიური გარდაქმნები, რომელთა შედეგად ყალიბდება ჩაის ხარისხის დამახასიათებელი თვისებები: გემო, არომატი, ნაყენის ფერი. ამიტომ საოლერო და საფერმენტაციო საამქროებში ფერმენტაციის ოპტიმალური რეჟიმის შექმნასა და დაცვას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ნედლეულის ფერმენტაციისათვის ჩაის ფაბრიკებში არსებობს მარტივი კონსტრუქციის ვენტილატორული ტიპის დამნოტიევებელი დანადგარი, ე. წ. ჰიდროტემპერი. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ დანადგარის მრავალჯერ გადაკეთებისა და მასში ცვლილებების შეტანის მეოხებით მისი მუშაობის რეჟიმი დარღვეულ იქნა. 1954 წელს საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს დაევალა ჰიდროტემპერის მთლიანი რეკონსტრუქცია და მისი ავტომატურ მართვაზე გადაყვანა.

ამ მიზნით შესწავლილ იქნა ჩაის ფოთლის გადამუშავების ტექნოლოგიური პროცესები, დასავლეთ საქართველოს ჩაის რაიონების ჰიდრომეტეოროლოგიური მონაცემები და ჰიდროტემპერის კონსტრუქცია. ჰაერის სინესტისა და ტემპერატურის რეგულირება შესაძლებელი გახდა ბაბენკოვის სისტემის პნევმატიკური მოწყობილობით. რეკონსტრუირებულ იქნა ჰიდროტემპერის ზოგიერთი კვანძი. ყოველივე ამის შედეგად მიღწეულია დანადგარის მუშაობის მტკიცე რეჟიმი. აღნიშნული სამუშაოს შესრულებაში თავი გამოიჩინეს: ლ. ნანეიშვილმა (საკონსტრუქტორო ბიუროს მთავარი ტექნოლოგი), კონსტრუქტორებმა ტ. სიხარულიძემ, ი. მარკევიჩმა, მ. დოლიძემ, ზეინკალმა გ. დვალმა.

ჰიდროტემპერის რეკონსტრუქცია და მისი ავტომატური მართვა, რის განხორციელება ჩაის მრეწველობაში მეტად მტკივნეულ საკითხს წარმოადგენდა, ახლა შეიძლება გადაწყვეტილად ჩაითვალოს. იგი წელს დაინერგება საქართველოს მთელ რიგ ჩაის ფაბრიკებში, რაც ხელს შეუწყობს ქართული ჩაის ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებას.

გ. სიხარულიძე,

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სასურსათო საქონლის მრეწველობის სამმართველოს სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს წამყვანი კონსტრუქტორი.

ფოსტის დატარება მოუწესრიგებელია

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს ზესტაფონის რაიონულ განყოფილებაში მოუწესრიგებელია სოფლის მოსახლეობისათვის საფოსტო გზავნილებათა და ჟურნალ-გაზეთების მიწოდების საქმე.

სოფელ დილიკაურის ვოროშილოვის და სვერდლოვის სახელობის, სოფელ ძირულის კალინინის და 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა მრავალი გაფრთხილების მიუხედავად დღემდე არ გამოჰყვეს ფოსტის დამტარებლები, ხოლო სოფელ როდინოულის ხრუშჩოვის სახელობას, სოფელ მეორე სვირის ლენინის და სტალინის სახელობის და სოფელ პირველი სვირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებში ეს საქმე შეუფერებელ პირებს დააკისრეს. სოფელ ზედა საქარის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობის გამგეობამ (თავმჯდომარე დ. დათიაშვილი) უმიზეზოდ მოხსნა ფოსტის დამტარებელი პ. ფერაძე, რომელიც 15 წელი პატიოსნად ემსახურებოდა ამ საქმეს, და სამაგიერო დღემდე არ გამოუყვია.

ასეთი მდგომარეობა იწვევს გზავნილებების და ჟურნალ-გაზეთების მოსახლეობისათვის მიწოდების შეფერხებას და ზოგჯერ დაკარგვასაც, რის გამო კოლმეურნეები სამართლიან გულისწყრომას გამოთქვამენ.

ა. ჭიჭინაძე,

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს ზესტაფონის რაიონული განყოფილების პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი.

პურის საცხობის შუშაობა უნდა გაუხალდეს

წინათ დუშეთის რაიონის სოფელ ჩარგალში გახსნილი იყო პურის საცხობი, რაც აკმაყოფილებდა როგორც ადგილობრივი მოსახლეობის, ისე ვაჟა ფშაველას სახლ-მუზეუმის დასათვალიერებლად ჩამოსული ექსკურსანტების მოთხოვნილებას. მას შემდეგ ჩარგალში დიდი ცვლილებები მოხდა: კოლმეურნეობა გამსხვილდა, განხორციელდა სოფლის კეთილმოწყობის სამუშაოები, გაყვანილ იქნა საავტომობილო გზა, შეიქმნა უკეთესი პირობები სოფლის მომარაგებისათვის. პურის საცხობი კი დაკეტილია და მისი გახსნისათვის თავს არავინ იწუხებს.

ჩარგალის მოსახლეობა მოითხოვს, რომ ცეკავშირმა აზრუნოს პურის საცხობის შეკეთებისა და აღდგენისათვის, მისი მუშაობის განახლებისათვის.

გ. მარცვალაშვილი.

საუბნო გზა შესაკეთებელია

ამბროლაურის რაიონში სადმელის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მძლავრი მეურნეობაა. კოლმეურნეობის სამეურნეო სიმძლავრე სასოფლო საბჭოს საშუალებას აძლევს მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელოს სოფლის კეთილმოწყობისათვის. სამწუხაროდ, სასოფლო საბჭო (თავმჯდომარე ს. ჯოხაძე) ამ შესაძლებლობებს არ იყენებს და თითქმის არაფერს არ აკეთებს სოფლის კეთილმოწყობისათვის.

ამ სოფლის ენუქიძეების უბანი წლების მანძილზე საცალფეხო გზით უკავშირდება კოლმეურნეობის კანტორასა და სოფლის სხვა უბნებს. წინათ აქ საურმე გზა იყო, მაგრამ გაფუჭდა და მისი შეკეთებისათვის სასოფლო საბჭოს აღარ უზრუნია. უგზოობის გამო ურემი და ავტომობილი უბანში ვერ შედის.

უბნის მცხოვრებლებმა გზის გაყვანის საკითხი არაერთხელ დააყენეს სასოფლო საბჭოში. ამაზე რაიონულ გაზეთ „კომუნარშიც“ დაიწერა, მაგრამ მშრომელთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად დღემდე არაფერი გაკეთებულა.

ა. ენუქიძე,
გ. ენუქიძე,
გ. ენუქიძე.

* ★ ★ *

კულტურის სახლი — გამოფენის მონაწილე

ხიდისთავი ერთ-ერთი ძველი, ამავე დროს თავისი ბუნებრივი სილამაზით განთქმული სოფელია გურიაში. იგი გაშენებულია აჭარაგურიის მთის კალთებზე. შესანიშნავი რევოლუციური წარსული აქვთ ხიდისთაველ მშრომელებს. ეს სოფელი რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში (1905-1907 წ.წ.) რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი ცენტრი იყო გურიაში. ამიტომ მეფის მთავრობა აწიოკებდა და არაადამიანურად ტანჯავდა სოფლის მოსახლეობას.

...ყოველივე ეს წარსულს ჩაბარდა. დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, საკოლმეურნეო წყობილებამ თავისუფლება, ბედნიერება და შეძლებული ცხოვრება დაუმკვიდრა ხიდისთაველ მშრომელებსაც. სოფელმა სახე იცვალა. აქ ახლა მრავალი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაა. სოფელს აქვს საშუალო სკოლა, საექიმო უბანი, სამშობიარო სახლი, აფთიაქი, ფოსტა, სოფლის კოოპერატივი, ჰიდროელექტროსადგური, სახერხი ქარხანა, აბანო, კინოდანადგარი, რადიოკვანძი, კულტურის სახლი, სასოფლო ბიბლიოთეკა და სხვა მრავალი.

ხიდისთავის ი. ბ. სტალინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელი ერთ-ერთი მძლავრი კოლმეურნეობაა ჩოხატაურის რაიონში. აქ ენერგიულად იბრძვიან პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის.

—ხიდისთავში პირველი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება იყო ბიბლიოთეკა, რომელიც 1900 წელს დაარსდა, — ამბობს კულტურის სახლის დირექტორი თ. კალანდაძე. წლების მანძილზე საბჭოთა წყობილების გამარჯვებამდე სოფლის ბიბლიოთეკის ხარჯებს მშრომელები თავიანთი დანაზოგიდან იხდიდნენ.

1929 წელს ხიდისთავის მშრომელებმა სოფლის ცენტრში მდინარე გომაზეულის ნაპირზე აეგეს კლუბის კარგი შენობა. მას აქვს შესანიშნავი ეზო, სადაც გაშენებულია პარკი, რომლის ტერიტორია ჰექტარს აღემატება. აქ მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით დაირგო მარად მწვანე მცენარეების ძვირფასი ჯიშები. ახლა ეს პარკი მშრომელთა გართობისა და დასვენების საყვარელი ადგილია.

ხიდისთავის სასოფლო კლუბმა თავისი საინტერესო მუშაობით სახელი გაითქვა არა მარტო ჩოხატაურის რაიონში, არამედ ჩვენს რესპუბლიკაშიც. ეს კლუბი 1955 წლიდან გადაკეთდა კულტურის სახლად.

ენერგიულად მუშაობს კულტურის სახლის საბჭო. მასში გაერთიანებულია 9 კაცი. საბჭოს სხდომებზე სისტემატურად განიხილავენ აქტუალურ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია მშრომელთა კულტურულ მომსახურებასთან. საბჭოს თვითეული წევრი ამავე დროს ხელმძღვანელობს ცალკეულ წრეს თავისი სპეციალობისა და ცოდნის მიხედვით.

სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდის საქმეში თვალსაჩინო მუშაობას ეწევა კულტურის სახლთან არსებული აგროზოოტექნიკური წრე, სადაც გაერთიანებული არიან მოწინავე კოლმეურნეები, ჩაის უხვი მოსავლის ოსტატები, მეცხოველეები და სხვ. გასული წლის ზაფხულში კულტურის სახლში მოეწყო შეხვედრა ცნობილ მეჩაიე ე. მამალაძესთან. მან კოლმეურნეებს უამბო იმ მეთოდებზე და ხერხებზე, რასაც იგი იყენებს ჩაის მაღალი მოსავლის მისაღებად.

ადგილობრივმა ლექტორებმა, აგრეთვე კულტურის სახლის მაერ სპეციალურად მოწვეულმა ლექტორებმა პარტიის XX ყრილობის მასალების ირგვლივ მრავალი ლექცია-მოხსენება წაიკითხეს სოფლის მშრომელებისათვის.

ნაყოფიერად მუშაობს კულტურის სახლთან არსებული დრამატული წრე (ხელმძღვანელი მ. ცხოიძე). წრეში 14 კაცია გაერთიანებული. ხშირად უჩვენებენ მშრომელებს ახალ სპექტაკლებს. წრემ დადგა ს. კლდიაშვილის „დაბრუნება“, ვ. ჭავჭანიძის კომედია „კეთილი მეზობლები“, ვ. გუნიას „და-ძმა“, დ. ერისთავის „სამშობლო“ და სხვ.

შესანიშნავი წარმატებები აქვს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს, რომელსაც ხელმძღვანელობს ამ საქმის კარგი სპეციალისტი ლოტბარი დ. მათითაშვილი. ანსამბლი საუკეთესოდ ასრულებს სხვადასხვა ხალხურ და თანამედროვე სიმღერას, ცეკვას. ანსამბლის წევრებმა შექმნეს აგიტმხატვრული ბრიგადები, რომლებიც მომსახურებას უწევენ მინდვრად მომუშავე კოლმეურნეებს.

ფართო ახსნა-განმარტებითს მუშაობას ეწევა კულტურის სახლთან არსებული ხანიტარული წრე (ხელმძღვანელი ექიმი გ. მეგრელიძე). წრის წევრები ხშირად აწყობენ საუბრებს საკოლმეურნეო მინდვრებსა და პლანტაციებში მომუშავე კოლმეურნეებთან, მშრომელებს აცნობენ ჯანმრთელობის დაცვის სხვადასხვა აქტუალურ საკითხს.

კულტურის სახლთან არის მდიდარი ბიბლიოთეკა, რომლის წიგნის ფონდი 3.200-მდე ეგზემპლარს შეადგენს. ბიბლიოთეკაში სისტემატურად ეწყობა მკითხველთა კონფერენციები, კითხვა-პასუხის საღამოები და სხვ.

კულტურის სახლის პარკში მოწყობილია სასპორტო მოედანი, სადაც იმართება მეცადინეობა ფრენბურთსა და კალათბურთში, აგრეთვე ფეხბურთში. აქაური სპორტსმენები ხშირად აწყობენ ამხანაგურ შეჯიბრებებს მეზობელი კოლმეურნეობების ფეხბურთელებთან.

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციები ჯეროვან ყურადღებას აქცევენ კულტურის სახლის საქმიანობას, ეხმარებიან მას ახალ წარმატებათა მოპოვებაში.

ხიდისთავის სასოფლო კულტურის სახლი საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეა. ეს სპატიო უფლება მოპოვებულ იქნა გასულ წელს გაწეული საუკეთესო მუშაობის შედეგად.

ხიდისთავის კულტურის სახლის მუშაკები აქტიურად იბრძვიან მშრომელთა კულტურული მომსახურების კიდევ უფრო მაღალ დონეზე დაყენებისათვის.

გ. ჩხაიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

* * *

ს ურ ა თ ზ ე: ჩოხატაურის რაიონის ხიდისთავის კულტურის სახლის ხედი.

ფოტო ა. აბულაძისა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სსრ კავშირის მთავრობისა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ კორეაში დაზავების შესახებ შეთანხმების პირობების დარღვევასთან დაკავშირებით

მშვიდობისმოყვარე ხალხთა ღონისძიებების შედეგად 1953 წელს შეწყდა ომი კორეაში და დაიდო დროებითი ზავი, რომელიც სერიოზული წვლილი იყო საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში არა მარტო შორეულ აღმოსავლეთში, არამედ მთელ მსოფლიოშიც. კორეაში დაზავებაზე ხელმოწერით ლიკვიდირებულ იქნა ომის საშიში კერა შორეულ აღმოსავლეთში და დაისახა კორეის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრის პერსპექტივები.

დაზავების შესახებ შეთანხმების შესაბამისად, რომელშიც ჩამოყალიბებულია მის მონაწილეთა ვალდებულებანი კორეაში მშვიდობის დაცვის საქმეში, მხარეებმა უნდა შეწყვიტონ კორეაში მაშველი ძალების შეყვანა, მათ შორის სხვადასხვა ახალი იარაღის შეტანა. ამ პირობების დაცვისადმი კონტროლის უზრუნველსაყოფად დაწესებულ იქნა დაზავების განხორციელებისადმი მეთვალყურეობის ნეიტრალური ქვეყნების კომისია, რომელსაც ეკისრებოდა დიდმნიშვნელოვანი ფუნქციები კორეაში მშვიდობის დაცვის საქმეში.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ კორეა-ჩინეთის მხარე, ისწრაფოდა რა დაზავება კორეაში გადაექცია მტკიცე მშვიდობად და შეექმნა კორეის მშვიდობიანი გაერთიანების პირობები, თანმიმდევრულად და ზუსტად იცავდა და იცავს დაზავების შესახებ შეთანხმების პირობებს და მუდამ ისწრაფოდა მოლაპარაკების გზით მოეწესრიგებინა საკითხები, რომლებიც წამოიჭრებოდა დაზავების შესახებ შეთანხმების შესრულების მსვლელობაში. ამასთან დაკავშირებით შეიძლება აღინიშნოს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარების რიცხვის შემცირება 1956 წელს, აგრეთვე კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკიდან ჩინელ სახალხო მოხალისეთა მთელი რიგი შენაერთების გამოყვანა.

კორეაში დაზავების შესახებ შეთანხმების თავიანთ ვალდებულებათა შესრულებისადმი სხვა დამოკიდებულებას ვამჩნევთ ამერიკის სამხედრო ხელისუფალთა მხრივ, რომელნიც სისტემატურად ახორციელებენ კორეაში დაზავებისათვის ძირისგამოთხრის პოლიტიკას. ცნობილია, რომ, ისწრაფოდა რა საერთაშორისო კონტროლისათვის დაემალა შეთანხმების თავისი დარღვევები, შარშან ამერიკის მხარემ ცალმხრივად შეაჩერა სამხრეთ კორეაში დაზავებისადმი მეთვალყურეობის ნეიტრალური ქვეყნების კომისიის მუშაობა, და ამასთან უკანონოდ უგულებელყოფდა კორეა-ჩინეთის მხარის კანონიერ პროტესტებს.

გასაგებია, რომ უკვე ეს მოქმედება, რომელიც დაზავების შესახებ შეთანხმების აშკარა დარღვევას წარმოადგენს, სრულიადაც არ უწყობდა ხელს კორეაში ვითარების გაუმჯობესებას. მდგომარეობა უფრო გართულდა, როცა ამა წლის 21 ივნისს ამერიკის სარდლობამ კორეაში დაზავების სამხედრო კომისიაში თავისი წარმომადგენლის მეშვეობით განაცხადა, რომ თავი თავისუფლად მიაჩნია იმ ვალდებულებათაგან, რომლებსაც აკისრებს დაზავების შესახებ შეთანხმების მე-2 მუხლის მე-13 პარაგრაფის d პუნქტი, რომელიც ითვალისწინებს კორეაში ახალი იარაღის შეტანის აკრძალვას.

ამ განცხადებასთან ერთად ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტრომ გამოაქვეყნა ცნობა, რომ მიღებული გადაწყვეტილება სამხრეთ კორეაში დაუყოვნებლივ გაიგზავნოს ამერიკის „თანამედროვე შეიარაღება“, მათ შორის ავიაგამანადგურებლები და ბომბდამშენები, რომლებსაც შეუძლიათ ზიდონ ატომური იარაღი, აგრეთვე ტანკები და სხვა შეიარაღება. ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა აგრეთვე განაცხადა, რომ ამერიკის დივიზიები სამხრეთ კორეაში ატომური იარაღით იქნებიან აღჭურვილნი.

ამერიკის შეერთებული შტატების უარი დაიცვას დაზავების შესახებ შეთანხმების უმნიშვნელოვანესი დებულება, რომელიც შეეხება კორეაში შეიარაღების შეტანის აკრძალვას, უფრო ააშკარავებს ამერიკის მმართველი წრეების მიზნებს — ხელი შეუშალონ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას შორეულ აღმოსავლეთში, განახორციელონ ამ რაიონში ამერიკის ატომურ ქვეგანაყოფთა შექმნის გეგმა, რაც თავისთავად ართულებს ვითარებას და ამრიგად აძლიერებს საფრთხეს შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობის შენარჩუნების საქმისათვის.

ხელს უწყობენ რა კორეაში დაძაბულობის შენარჩუნებას, ამერიკის აღნიშნული წრეები ემყარებიან საძრეთ კორეის რეჟიმის აგრესიულ და ომისგამჩაღებლურ ელემენტებს, ისწრაფვიან განაგრძონ სამხრეთ კორეის აქტიური ოკუპაცია ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების მიერ და ამრიგად აგრესიის მუდმივი მუქარის ქვეშ ამყოფონ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა.

უარი იმაზე, რომ დაიცვას თავისი საერთაშორისო ვალდებულებანი, რომლებიც ნათლად ჩამოყალიბებულია კორეაში დაზავების შესახებ შეთანხმებაში, ამერიკის მხარე ცდილობს მიჩქმალოს მტკიცებით, თითქოს კორეა-ჩინეთის მხარე არღვევდეს დაზავების შესახებ შეთანხმებას, თუმცა ამ მტკიცებას აბათილებენ ფაქტები.

ადვილი წარმოსადგენია, რას გამოიწვევდა ასეთი მდგომარეობა, კორეა-ჩინეთის მხარესაც, თავის მხრივ, რომ დაეწყო ჩრდილოეთ კორეაში ახალ საეროთბათა შეიარაღების, მათ შორის, მაგალითად, თვითმფრინავების შეტანა, რომელსაც შეუძლიათ ატარონ უახლესი იარაღი, და განეხორციელებინა ამ იარაღით არმიის აღჭურვა. უეჭველია, რომ შედეგად შეიძლებოდა შექმნილიყო სიტუაცია, რომელიც მეტად საშიში იქნებოდა.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ მტკიცე პროტესტი განაცხადეს ამერიკის შეიარაღებული ძალების უკანონო მოქმედების წინააღმდეგ, რომლის მიზანია დაზავების ჩაფუშვა, და ამერიკის შეერთებულ შტატებს მოსთხოვეს ზუსტად დაიცვან კორეაში დაზავების შესახებ შეთანხმების პირობები და მოითხოვეს მოწვეულ იქნას შესაბამისი საერთაშორისო კონფერენცია ყველა დაინტერესებული სახელმწიფოს მონაწილეობით, რათა კორეაში მტკიცე მშვიდობა დამყარდეს და კორეის საკითხი მშვიდობიანად გადაიჭრას.

საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს, რომ იგი სავსებით უჭერს მხარს დებულებებს, რომლებსაც კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ზემოაღნიშნული განცხადებანი შეიცავენ.

ამერიკის შეიარაღებული ძალების პროვოკაციული მოქმედება, რომლის მიზანია კორეაში დაზავებისათვის ძირის გამოთხრა და სამხრეთ კორეას გადაქცევა ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ ატომურ ბაზად შორეულ აღმოსავლეთში, აშკარად ეწინააღმდეგება ხალხთა საერთო მისწრაფებას განამტკიცონ ნდობა სახელმწიფოთა შორის და მშვიდობა აზიასა და მთელ მსოფლიოში. საბჭოთა მთავრობა, ყურადღებას აქცევს რა ამერიკის მხარის უკანონო მოქმედებას, რომელიც არღვევს დაზავებას კორეაში, საჭიროდ თვლის განაცხადოს, რომ პასუხისმგებლობა ამ მოქმედების შედეგებისათვის მთლიანად ეკისრებათ ამერიკის შეერთებულ შტატებს.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

პარიზი, 6 ივლისი. (საკდესი). საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა. მან განიხილა ანდრე სუკიერის მოხსენება „მშვიდობისათვის ბრძოლისა და მშვიდობის განმტკიცებაში კომუნისტების წვლილის შესახებ“, გი დიუკლოსნეს მოხსენება „პარტიული კადრების მომზადებისა და აღზრდის შესახებ“, აგრეთვე მოისმინა ჟაკ დიუკლოს ინფორმაცია გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის დელეგაციასთან საფრანგეთის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მოლაპარაკების შესახებ, რაიმონ გიუიოს ინფორმაცია უნგრეთის სოციალისტურ მუშათა პარტიასთან მოლაპარაკების, ფრანსუა ბიიუს ინფორმაცია შვეიცარიის შრომის პარტიასთან მოლაპარაკებისა და ჟანეტ ვერმერშის ინფორმაცია ალბანეთის შრომის პარტიასთან მოლაპარაკების შესახებ.

მაქს რაიმანის განცხადება

ბერლინი, 6 ივლისი. (საკდესი). გაზეთმა „ნოიეს დოიჩლანდმა“ დღეს გამოაქვეყნა გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის მაქს რაიმანის სიტყვა, რომელიც მან წარმოთქვა რადიოსადგურში „დოიჩერ ფრაიჰაიტსზენდერ 904“.

მაქს რაიმანი მიესალმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვისა და მათთან მიმხრობილი შეპილოვის ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ. მან აღნიშნა, რომ პოლიტიკური ხაზი, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დასახა, ახალი ეტაპი იყო საერთაშორისო მუშაობა მოძრაობის განვითარებაში, მშვიდობისათვის ხალხთა ბრძოლაში. როგორც რაიმანმა აღნიშნა, სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკამ, რომელსაც საბჭოთა მთავრობა ახორციელებს, შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო.

გერმანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა აღნიშნა, რომ მოლოტოვმა, კაგანოვიჩმა, მალენკოვმა გაილაშქრეს პარტიის პოლიტიკის წინააღმდეგ და ფრაქციული ბრძოლის გზას დაადგნენ. მაგრამ განაგრძო რაიმანმა, იქ, სადაც იქმნება ჯგუფები, ვისი ფრაქციული საქმიანობაც საფრთხეს უქმნის პარტიის ერთიანობასა და დარაზმულობას, სადაც ცდილობენ თავი დაუპირისპირონ პარტიის პოლიტიკას, იქ პარტია მკაცრ ღონისძიებებს ახორციელებს განურჩევლად პიროვნებისა.

ჩვენ, გერმანელი კომუნისტები, განაცხადა რაიმანმა, მივესალმებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებას და მიგვაჩნია, რომ იგი ხელს შეუწყობს იმას, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის პოლიტიკა კიდევ უფრო წარმატებით განხორციელდეს საბჭოთა ხალხისა და ყველა ხალხის საკეთილდღეოდ, მშვიდობის და სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ინტერესებისათვის.

გუდაპეშტის პარტიული აქტივის კრება

ბუდაპეშტი, 6 ივლისი. (საკდესი). გუშინ ბუდაპეშტში გაიმართა დედაქალაქის პარტიული აქტივის კრება, რომელმაც ერთსულოვნად მოიწონა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება. ეს დადგენილება, აღნიშნულია აქტივის გადაწყვეტილებაში, კვლავ ადასტურებს იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიის ყველაზე ძვირფასი საუნჯის, მის წარმატებათა აუცილებელი პირობის — პარტიული ერთიანობის განმტკიცებას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება ამავე დროს დამაჯერებლად ადასტურებს იმას, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია განუხრელი სიმტკიცით მიდის XX ყრილობის მიერ დასახული გზით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თანმიმდევრულმა პარტიული ერთიანობის და XX ყრილობის პოლიტიკის დაცვის საქმეში, საბჭოთა კავშირის კომუნისტების მჭიდრო დარაზმვა ცენტრალური კომიტეტის გარშემო, ანტიპარტიული ჯგუფის საქმიანობის ერთსულოვანი დაგმობა მათ მიერ დიდმნიშვნელოვანი გაკვეთილია მთელი ჩვენი პარტიისათვის.



ქალაქ თბილისის მშრომელებისათვის საკოლმეურნეო ბაზრებზე ყოველდღიურად იზრდება ხილ-ბოსტნეულის შემოზიდვა. კვირას, 7 ივლისს გარდაბნის რაიონის ლენინის სახელობის, სტალინის სახელობის, XIX პარტყრილობის და XX პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობებმა ავტოკოლონით თბილისში შემოზიდეს 120 ტონა ბოსტნეული, 3 ტონა ყველი, 8 ტონა ხილი, 6,5 ტონა კარტოფილი და გასაყიდად ჩამოიყვანეს 3.500 წიწილი.
სურათზე: ხილ-ბოსტნეულით დატვირთული ავტოკოლონა მოემართება თბილისისაკენ.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

მატჩი ირანელ ფეხბურთელებთან

რამდენიმე დღეა თბილისში სტუმრად იმყოფება ირანის შეიარაღებული ძალების ფეხბურთელთა კოლექტივი. მატჩი ირანისა და თბილისის გუნდებს შორის დიდ ინტერესს იწვევდა. ეს ასპარეზობა გაიმართა გუშინ „დინამოს“ სტადიონზე.

შეჯიბრებას წინ უძღოდა საზეიმო ცერემონიალი. თბილისის სოლელქო საპორტო კლუბის ფეხბურთელებმა სტუმრებს თაიგულები უძღვნეს.

თამაში თბილისელთა იერიშებით დაიწყო, ისინი მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანს მარჯვენა ფრთიდან უტევდნენ. მე-13 წუთზე წინ გაიჭრა ნახევარმცველი ხუნდაძე და ხელსაყრელი მდგომარეობიდან ძლიერად დაარტყა კარში, ბურთი მოიგერია მეკარე ჯაფარ-ზადემ, მაგრამ იქვე აღმოჩნდა მელაშვილი და „ანგარიში“ გაიხსნა.

ტემპიანი თამაში არ დამცხრალა, სტუმრები ენერგიულად იბრძოდნენ, მათ რამდენიმე კოლექტიკული მომენტი შექმნეს თბილისელთა კართან. ტაიმის უკანასკნელი წუთები კვლავ თბილისელთა წარმატებით აღინიშნა, ერთ-ერთი კომბინაცია გოლით დამთავრდა. ბურთი გაიტანა კურტანიძემ.

თბილისელებმა მოიგეს 45-წუთიანი ბრძოლა 2:0.

მეორე ტაიმის მე-13 წუთზე სტუმართა კარში მესამე ბურთი აღმოჩნდა, ამჯერად მეკარისა და მცველის შეცდომით. მაგრამ არ გასულა 5 წუთი და ირანელმა ფეხბურთელებმა ლამაზი კომბინაციით სასასუხო ბურთი გაიტანეს. სტუმართა წარმატებას მაყურებლები ერთსულოვანი ტაშით შეხვდნენ.

შეჯიბრების დამთავრებამდე კურტანიძემ მეოთხე ბურთი გაიტანა ირანელთა კარში. საერთაშორისო მატჩი ირანელ და თბილისელ ფეხბურთელთა შორის, რომელიც მეგობრულ, გულთბილ ვითარებაში მიმდინარეობდა დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით 4:1.

საერთაშორისო შეხვედრები

საერთაშორისო მატჩი გორკში ადგილობრივ „ტორპედოსა“ და ვარნას „სპარტაკის“ (ბულგარეთი) გუნდებს შორის დამთავრდა ფრედ 1:1.

• • •

ლენინგრადი. 7 ივლისი. აქ შედგა საერთაშორისო მატჩი თურქეთის „გალატასარაისა“ და ლენინგრადის „ზენიტის“ ფეხბურთელთა გუნდებს შორის. გაიმარჯვეს სტუმრებმა 2:0.

• • •

კიევი. 8 ივლისი. ბრაზილიის ცნობილი კლუბის „ვასკო და გამეს“ ფეხბურთელთა გუნდი საერთაშორისო მატჩში შეხვდა კიევის „დინამოს“. გაიმარჯვეს კიეველებმა 3:1.

სსრ კავშირი — იუგოსლავია

ლენინგრადში გრძელდება საჭადრაკო მატჩი სსრ კავშირისა და იუგოსლავიის მოჭადრაკეთა გუნდებს შორის. სამი ტურის შემდეგ მატჩის ანგარიშია 14:8 (ორი გადადებული პარტია) საბჭოთა მოჭადრაკეების სასარგებლოდ.

რესპუბლიკური ჩემპიონატი

გორში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა საქართველოს 1957 წლის პირად-გუნდური პირველობის გათამაშება მაგიდის ჩოგბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის, ქუთაისის, ტყვარჩელისა და სხვა ქალაქების უძლიერესმა სპორტსმენებმა.

საინტერესო ბრძოლის შემდეგ ჩემპიონები გახდნენ: ქალთა შორის — ლ. იზაშვილი, კაეთა შორის — რ. კუდაშვილი; ვაეთა წყვილებში გაიმარჯვეს რ. კუდაშვილმა და ვ. ღარიბაშვილმა, ქალთა წყვილებში — ლ. იზაშვილმა და ე. ხანთაძემ. შერეულ წყვილებში პირველი ადგილი დაიკავეს ე. ხანთაძემ და რ. კუდაშვილმა.

გუნდურ ჩათვლაში ჩემპიონის წოდება მოიპოვა თბილისის მაგიდის ჩოგბურთელთა კოლექტივმა.

ჭაბუკ ფეხბურთელთა ასპარეზობა

თბილისში დამთავრდა „ა“ და „ბ“ კლასის ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივებთან არსებული ჭაბუკთა გუნდების ზონალური ასპარეზობა. ასევეა შეჯიბრება მოეწყო გორკში, მოლოტოვში, ტაშკენტში, როსტოვში, კრივოი როგში, ლვოვში და ალექსანდროვში.

ზონებში გამარჯვებულ გუნდები 15 ივლისიდან კიევში გაიმართებენ ფინალს.

თბილისის ზონაში მონაწილე 8 გუნდი გაყოფილი იყო ორ ქვეჯგუფად. ამ ზონაში ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის „დინამოსა“ და სკკო-ს ჭაბუკთა გუნდებმა. დასკვნითი შეჯიბრება გაიმართა 7 ივლისს „დინამოს“ სტადიონზე. მატჩი დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით ანგარიშით 3:0.

ამრიგად, თბილისის ზონალურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა „დინამოს“ ჭაბუკ ფეხბურთელთა კოლექტივმა, რომელსაც საზეიმოდ გადაეცა გარდამავალი ჯილდო — თასი. დინამოელები მონაწილეობას მიიღებენ საკავშირო ასპარეზობის ფინალში.

ნეკროლოგი

ვ. ი. მგალობლიშვილი

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს კომპარტიის ძველი წევრი ვახტანგ იოსების-ძე მგალობლიშვილი.

ვ. ი. მგალობლიშვილი დაიბადა 1873 წელს სოფელ ერკეთში (ჩოხატაურის რაიონი) ღარიბა გლეხის ოჯახში. ცხოვრების მძიმე პირობების გამო იგი იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი სოფელი და 1896 წელს მუშაობა დაიწყო გორის რკინიგზის სადგურში შავ მუშად.

რკინიგზაზე მუშაობის პერიოდში (1896-1904 წ. წ.) ვ. ი. მგალობლიშვილი ჩაება რევოლუციურ მუშაობაში, რისთვისაც მეფის მთავრობამ იგი დაიპატიმრა და გადაასახლა ქ. ონეგაში (არხანგელსკის გუბერნია). გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ვ. ი. მგალობლიშვილი თავის სოფელს უბრუნდება და კვლავ განაგრძობს რევოლუციურ მუშაობას, მონაწილეობას იღებს 1905-1907 წლების რევოლუციურ მოძრაობაში. 1907 წლის ოქტომბერში შედის ბოლშევიკური პარტიის რიგებში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იგი პირნათლად ასრულებდა პარტიისა და მთავრობის დავალებებს, მხურვალე მონაწილეობას იღებდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობაში. ვ. ი. მგალობლიშვილი ენერგიულად შრომობდა კოლმეურნეობაში და მთელ თავის ძალასა და ენერგიას ახმარდა საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებას.

ვ. ი. მგალობლიშვილი 1905-1907 წლების რევოლუციაში აქტიური მონაწილეობისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დააჯილდოვა შრომის წითელი დროშის ორდენით.

ვ. ი. მგალობლიშვილის ნათელი ხსოვნა ყოველთვის დარჩება ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

ი. ჭავჭავაძის ხსოვნის აღსანიშნავად

საქართველოს საზოგადოებრიობა ფართოდ აღნიშნავს დიდი ქართველი მწერლისა და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის ი. ჭავჭავაძის დაბადების 120 და გარდაცვალების 50 წლისთავს. ამ თარიღის აღსანიშნავად დიდი მუშაობა მიმდინარეობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში.

ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომლებმა გამოსაცემად მოამზადეს ი. ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებული. აშკაროდ საჭიროა გადაეცა ამ კრებულის უკანასკნელი, მეათე ტომი. გამოსაცემად მომზადდა ი. ჭავჭავაძის საიუბილეო კრებული, სადაც შესულია დიდი მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი მასალები. მიმდინარეობს მუშაობა ი. ჭავჭავაძის სრული ანოტირებული ბიბლიოგრაფიის შესადგენად. აქ აღნუსხული იქნება როგორც ილიას ნაწერების სრული კატალოგი, ისე მისი ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოკვლევები.

საიუბილეო დღეებისათვის ინსტიტუტში მოეწყობა სამეცნიერო კონფერენცია, აგრეთვე გამსვლელი სესიები ყვარელსა და თელავში.

დიეტური პური და ორცხობილა

მომხმარებელთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად „თბილპურვაჭრობის“ მთელ რიგ მაღაზიებს სისტემატურად აქვთ პურ-ფუნთუშეულის სპეციალური ასორტიმენტი, რომელიც რეკომენდებულია კუჭით, გულითა და თირკმელებით დაავადებულთათვის, აგრეთვე დიაბეტიანი ავადმყოფებისათვის.

დიეტური პურისა და ორცხობილის ასორტიმენტში შედის ცილოვანი ხორბლისა და ცილოვანი ქატოს პური და ორცხობილა, უმარილო პური, დაბალი სიმჟავის პური და ორცხობილა და სხვ. ამ პურით ვაჭრობენ: საბჭოს ქუჩაზე № 13 მაღაზია, ჩელუსკინელების ქუჩაზე — № 37, პლეხანოვის პროსპექტზე — № 150, ბოჭორძის ქუჩაზე — № 137, ლუსელაძის ქუჩაზე — № 101, კიროვის ქუჩაზე —№ 94 და მელიქიშვილის ქუჩაზე—№ 73 მაღაზიები.

რედაქტორი ბ. ფირცხალავა.

„გრუზვტორსირიოს“ რესპუბლიკური კანტორა აცხადებს იმ დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა საყურადღებოდ, სადაც სისტემატურად გროვდება ქაღალდის ნარჩენები — მაკულატურა: სტამბებში, ლითოგრაფიებში, თამბაქოს ქარხნებში, ჩამოწერილ არქივებში და სხვ., რომ მაკულატურა, თანახმად ზემდგომი ორგანოების დადგენილებისა, უნდა ჩაბარონ მხოლოდ „გრუზტორსირიოს“ დამამზადებელ კანტორებს და პუნქტებს შემდეგ ქალაქებში:

თბილისი, გორი, სტალინირი, ჭიათურა, ქუთაისი, ფოთი, ბათუმი, რუსთავი, ტყვარჩელი და სოხუმი. მაკულატურის მიღება წარმოებს სათანადო გაფორმებით, წონის ჩვენებით. ღირებულება ერთი ტონისა 200 მან. ანგარიშსწორება დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან ხდება გადარიცხვის საშუალებით, მოსახლეობის მიერ ჩაბარებული მაკულატურის ანაზღაურება კი — ნაღდ ანგარიშზე.

„გრუზვტორსირიოს“ რესპუბლიკური კანტორა.

ტელეგადაცემათა პროგრამა
9 ივლისისათვის

20.00 — გადაცემა ციკლიდან — გემზადებით დღეადისათვის, 20.40 — „საბჭოთა კინოს ისტორიიდან“ — მხატვრული ფილმი „პროცესი სამ მილიონზე“.

მოქალაქე **ილია პავლეს-ძე შოშვილმა**, მცხოვრებმა სამრეცხაოს ქ. № 23, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **მარიამ სიმონის ასულ შოშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის კალინინის რაიონის სახალხო სასამართლო.

დედა მარიამ, მამა პავლე, და მარინე იუწყებიან
თამაზ პავლეს-ძე ფერაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10-VII, 8 ს. გამოსვენება 11-VII, 6 ს. ლისის ქ. № 24 (საბურთალო).

მეუღლე დუკლიდა, შვილი ბიძინა ნათესავებით იუწყებიან ექმ
ტროფიმე ნიკოლოზის-ძე სიჭინავას
გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10-VII, 8 ს. გამოსვენება 11-VII, 5 ს პეტრიწის მოედანი № 14.

შვილი ივანე, დები პაშა, მინა ოჯახებით იუწყებიან
ბაბილინა დავითის ასულ დგებუაძეგეგენავას
გარდაცვალებას. პანაშვიდი 10-VII, 8 ს. გამოსვენება 11-VII, 6 ს. ორჯონიკიძის ჩიხი № 4.

მამა ბარნაბ, და თამარ, ძმა აპოლონ, რძალი ანიკო ოჯახებით იუწყებიან
ოლია ბარნაბის ასულ გოგელიანორაგველიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 9-VII სოფ. შუხუთში (ლანჩხუთის რ.).

შვილები დომნა, ნოე, რძალი ლიზა, სიძეები ს. ბანძავა, კ. სიმონიშვილი ოჯახებით იუწყებიან
ონისიმე ივანეს-ძე სტურუას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 11-VII სოფ. ხუნჯულაურში (სამტრედიის რ.).

შვილები თამარ, ლადო, სიძე ივანე მათითაიშვილი ოჯახებით იუწყებიან
მაკრინე ოქროპირის ასულ ჯიმარჯიძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10-VII, 8 ს. გამოსვენება 11-VII, 5 1/2 ს. საზღვრის ქ. № 2.

შვილები ალექსანდრე, მიხეილ, ზურაბ, სოფიო, სარა კვაჭაძეები, სიძეები ი. კეკელიძე, შ. ქავთარაძე, რძლები ნინო, ელენე ოჯახებით იუწყებიან
მართა სიმონის ასულ კვაჭაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10-VII, 8 ს. გამოსვენება 11-VII, 6 ს. ბელინსკის ქ. № 26.

მეუღლე მაგდან, შვილები თამარ, ნელი, სიძეები ი. ცაგარეიშვილი, რ. ინწკირველი იუწყებიან
გიორგი გრიგოლის-ძე გოქაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 11-VII, 6 ს. ბათუმში, გამოსვენება ბინიდან, შაუმიანის ქ. № 117.

„საქწიგნის“ № 6 მაღაზიის თანამშრომლები იუწყებიან, ამავე მაღაზიის თანამშრომლის
თამარ ისაკის ასულ სარაჯევას
გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10-VII, 8 ს. გამოსვენება 11-VII, 6 ს. კუმისის ქ. № 2.

ეკატერინე, ბაბო, კუკური ფარულავები ოჯახით, თინა ლატარია იუწყებიან
მარიამ პავლეს ასულ ფარულავას
გარდაცვალებას. გამოსვენება 9-VII, 6 ს. ძნელაძის II ჩიხი № 5.

მეუღლე ჭიჭიკო, შვილები დოდო, ნუგზარ, დარეჯან ჩიხლაძეები, მშობლები იასონ, აგრაფინა, ძმები დადაშა, არჩილ, დები გუგული, მიმლიკო ჩარკვიანები იუწყებიან
ნუნუ იასონის ასულ ჩარკვიანის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 11-VII სოფ. მაჭარაში (გულრიფშის რ.).

მეუღლე კონსტანტინე, შვილები შალვა, კატო, ლენა, ძმები დავით, ესე, დები ტატიანა, ანა ოჯახებით, სიძეები ა. გურგენიძე, ლ. კოშკაძე იუწყებიან
ლიდა ილარიონის ასულ კალანდაძეფანიაშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10-VII, 8 ს. გამოსვენება 11-VII 5 ს. ელბაქიძის დალმართი № 1.

მეუღლე ნინო, შვილები მარიამ, ლიდა, სიძე ვლადიმერ შვილებით იუწყებიან
ვლადიმერ ანდრიას-ძე ლომთათიძელომინაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10-VII, 8 ს. გამოსვენება 11-VII, 6 ს. ფიროსმანის ქ. № 36.

მეუღლე ცეტუ, შვილები ვახტანგ, ირაკლი, გივი, ქეთო, გოჩა, რძლები ვენერა, ტატიანა, ძმა ნიკოლოზ, და თათუშა, სიძე ბ. ჯანაშია ოჯახებით იუწყებიან
ივანე იულონის-ძე ოსიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 13-VII ზუგდიდში, გამოსვენება ბინიდან, ლენინის ქ. № 167.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

პროფესიული კავშირების სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოსი

საბჭოთა კავშირის მშრომელები, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნების მშრომელები, განიცდიან შეშფოთებას იმის გამო, რომ გრძელდება ატომგულის იარაღის გამოცდა, გამალებული შეიარაღება, თერმოატომგულის იარაღის სულ უფრო მეტი რაოდენობით დაგროვება, რაც შეიცავს მომსპობი ატომური ომის საფრთხეს.

გამალებული შეიარაღება მძიმე ტვირთს წარმოადგენს მშრომელი ხალხისათვის, სახელმწიფოთა შორის ბაღებს უნდობლობისა და ეჭვის გრძნობას, ნერგავს ურწმენობას ხვალინდელი დღისადმი.

ომი არ ესაჭიროებათ მშრომელებს, მუშებსა და მოსამსახურეებს, მშრომელ ინტელიგენციას — მილიონობით მშრომელს. მათთვის საძულველია ფიქრიც კი ომზე, რომელსაც ადამიანისათვის მოაქვს უთვალავი უბედურება და ტანჯვა. მშრომელები მტკიცედ მოითხოვენ განიარაღების პრობლემის დაუყოვნებლივ გადაჭრას და კაცობრიობის ხსნას ატომური ომის საფრთხისაგან.

საბჭოთა კავშირის მშრომელები, საბჭოთა პროფკავშირების მილიონობით წევრი, რომლებსაც ღრმად აქვთ შეგნებული ამ მომენტის მთელი პასუხისმგებლობა, მოითხოვენ დაუყოვნებლივ მიღწეულ იქნას შეთანხმება დიდ სახელმწიფოთა შორის ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ. ესენი სულით და გულით იწონებენ და მხარს უჭერენ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს კოლომბოს სესიის გადწყვეტილებებს, რომლებშიც მთელ მსოფლიოში გაისმა საყოველთაო-სახალხო მოთხოვნა: „გზა გადაეღობოს ატომურ ომს“.

საბჭოთა პროფკავშირები მხურვალედ იწონებენ საბჭოთა კავშირის მთავრობის თანმიმდევრულ პოლიტიკას, რომლის მიზანია განიარაღება, მასობრივი მოსპობის იარაღის სრული აკრძალვა. საბჭოთა კავშირი ამას წინათ გამოვიდა ახალი ინიციატივით — დიდ სახელმწიფოთა შორის, რომლებსაც ატომგულის იარაღი აქვთ, დაიდოს შეთანხმება 2-3 წლის ვადით მისი გამოცდის შეწყვეტის შესახებ ამ შეთანხმების შესრულებისადმი შესაბამისი კონტროლის დაწესებით.

როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობები უარს ამბობენ საბჭოთა კავშირის წინადადებათა მიღებაზე, სულ ახალ დაბრკოლებებს ქმნიან ატომური და წყალბადის ბომბების საცდელი აფეთქების შეწყვეტის შესახებ შე